№ 2771
სამშაბათი,
15 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2771
სამშაბათი,
15 მარტი

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27, განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

კატო ზურაბის ასული ჩიქოვანისა შვილებითურთ, ივანე და გრიგოლ სიკოს ძენი ჩიქოვანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 17 მარტს, სოფ. გორდის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ანტონ სიკოს ძის ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლად და სთხოვენ მათ დაესწრნენ წირვას და მით ანუგეშონ ქრისტიანენი. (1—02292—1)

კნეინა ნინო გიორგის ასული ციციშვილისა, კნეინა ნინა კონსტანტინეს ასული ამილახვრისა და თავადი გიორგი ოთარის ძე ამილახვარი უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრონ 22 მარტს ამა 1905 წელს დილით სოფელს ტინისხიდის ეკლესიაზე, სადაც იქნება გადახდილი ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის, პირველის ქმრისა, მეორის მამამთილისა და მესამის—ბიძის

თავ. კონსტანტინე გიორგის ძის ამილახვრისა.

(1—93—1)

გაიხსნა

პირველ იანვრიდან ტფილისში ვოკზლის ქუჩაზე, არამიანცის სახლში № 3 კავკასიის სატეხნიკო კანტორა

„საზომი და საწყაო“

და იმასთან სასწორისა და გირების პირველი კავკასიური სპეციალური სარემონტო და შესაკრები კი (შეიძლება გადაკეთება, შეკეთება, გამოწონა) ინჟენერ-ტეხნოლოგების ი. ს. კაცისა და ს. გ. დუკელსკისა. (10—10)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

სამშაბათს, 15 მარტს დიდი სპორტ-წარმოდგენა 3 განყოფილებით. სხვათა შორის გაიმართება **არ ყოფილი კავკასიური ჭიდაობა ორის ცნობილის ფალავანის.** განთქმული ჰერკულესი ფალავანი **რომო** დაეჭიდება ცნობილ კავკასიელ ფალავან **ჯიბგირს.** გამარჯვებულს 25 მ. დამარცხებული ის იქნება, ვინც ორივე მხარს დაჰკრავს მიწას. ჭიდაობა მეორე განყოფილების დასასრულს გაიმართება. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. (1—1)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთი“-ს

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1905 წ. 25 მარტს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება წევრთა თელავში, დილის 10 საათზე, ბადლად იმ კრებისა, რომელიც იყო დანიშნული 28 თებერვალს და არ შესდგა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი. კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1904—1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ღვინის დაფასების ზოგიერთი მუხლის შეცვლა; მოხსენება განყოფილებების შესახებ; თავ. არ. დ. ჭავჭავაძის წინადადება შესახებ წესდების შეცვლისა; მოხსენება შესახებ საქმის გაუმჯობესებისა; 4 სარევიზიო წევრის, ერთი გამგეობის წევრისა, კანდიდატისა და ერთი მიმღებ კომიტეტის წევრის არჩევანი. (3—6.—1)

საარტისტო საზოგადოების დარბაზში
ხუთშაბათს, 17 მარტს, გამართული იქნება

კონცერტი

ქართველ საფილარმონიო საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად. მონაწილეობას მიიღებენ: კნ. სოფ. დ. დიასამიძისა, კნ. ბარ. მ. ამირაჯიბისა, კნ. ან. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ბ. ტ. ზაგიუ. ბ-ნნი ს. ა. ბარხუდარიანი, ა. გ. რჩეულიშვილი, ა. პ. მირინოვიჩი, ს. ა. ნასიძე, მ. ფ. ქორიძე, ილ. აბაშიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის დირიჟორობით. ბილეთების ფასი 5 მანეთიდან 70 კ., მოსწავლეთათვის 45 კ.

დასაწყისი სრულ 8½ საათზედ.

ბილეთები იყიდება საარტისტო საზოგადოების კასსაში

პასუხის მგებელი კონცერტის გამართვაში საზოგადოების თავმჯ. ი. ა. სულხანიშვილი.

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა ატყობინებს თავისს წევრებს, რომ კვირას, ამა წლის 27 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია **წლიური საზოგადო კრება** წევრებისა, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1. 1904 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება:
2. 1905 წლის აღრიცხვის დამტკიცება.
3. არჩევნები გამგეობის თავმჯდომარისა და ერთის დირექტორისა, ნაცვლად ძველიებისა, რომელსაც ვადა გასდის.
4. არჩევანი საბჭოს ოთხის დირექტორისა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით.
5. არჩევანი სარევიზიო კომიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. საზოგ. წეს. მე-36 §-ის ძალით, რწმენების ქაღალდები საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარდგენილ იქნას გამგეობაში სამის დღით ადრე, ე. ი. არა უგვიანეს 24 მარტისა. (3—6—2)

ტფილისის სამოქალაქო სასწავლებლები: 1-ი (ვერის ოთხ-კლასიანი), მე-2 (რკინის გზის ექვს-კლასიანი) და მე-3 (ნიკოლოზისა), სთხოვენ მეოთხე განყოფილების მოსწავლეთა მშობლებს, მობრძანდნენ სასწავლებელში 17 მარტს, —მე-5 განყოფილების (კლასი)—18-ს და მე-6 განყოფილების (კლასი)—19 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, რათა შეიმუშაონ ზომები სწავლის განგრძობის შესახებ ამ სასწავლებელში. (3—105—1

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—8 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—20)

ტფილისის
კერძო საავადმყოფო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

- **გ. ი. ბიბინაძე.** კბილის 8—9 საათ.
- **გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
- **ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
- **ნ. ტ. მულინი.**—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
- **ი. დ. ლაშქარაშვილი.**—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
- **გ. ე. მაჭავარიანი.** შინაგ. და ბავშვ. 12—1.
- **გ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, და ნერვების 12—1 ს.
- **ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
- **ქ. ნ. დიასამიძე.**—ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.
- **ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.**—ხირურგია 1—2.

საღამოს:

- **ს. ი. გოგაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმებსაც.

ავადმყოფების რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფთვის აქვს ოცი საწოლი. საავადმყოფოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვებისა. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—408—34)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.

მიხეილის პრ. № 115. ნემცების ეკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—8)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—35)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ბინა აქვს: ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.
14 მარტი.

ტოკიო, 13 მარტი. ოფიციალური. რუსების ჯარებმა, რომელნიც ხსინკინში იყვნენ, სუილუნჩენისაკენ დაიხიეს, ჩანტოს ახლოს, 90 მილის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით. — ჩინჩიანცზში, რომელიც რუსებისაგან დაჭერილ ფუკუმენიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთითაა, 23 მილის მანძილზე. რუსები თითქმის აღარსად სჩანან; მხოლოდ პატარ-პატარა რაზმები გამოჩნდებიან ხოლმე ზოგჯერ.

გუნჩულინი (ბერლინის გზით). „კელნის გაზეთ“-ის ცნობით, იაპონელების წინ გალაშქრების მიზნათ აქვს იერიში მიიტანოს რუსებზე. აღმოსავლეთიდან იმიტომ უვლიან, რომ უნდათ გირინისაკენ გალაშქრებაო. იაპონელების სავარაუდო მოქმედება ვლადივასტოკისაკენ სამხედრო დემონსტრაციაა, მეტი არაფერი. 10 მარტს ლოუპინგენის ახლოს ბრძოლა იყო. გაზეთის აზრით, ოიამას თავისი ჯარი აღმოსავლეთისაკენ მიჰყავს; ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მას უნდა გზა მოუჭრას რუსებს ვლადივასტოკსა და ხარბინს შორის. აღმოსავლეთით იაპონელებს დიდძალი ჯარი ჰყავთ, დასავლეთით —ძლიერი ცხენოსანი.

მოსკოვი. იმ ქალებს, რომელთაც მოსკოვის საგუბერნიო საერობო კრებაზე განცხადება წარადგინეს მათ მამაკაცებთან გაერთიანების შესახებ, გადაუწყვეტიათ ანალოგიური მოთხოვნანი დაუგზავნონ სხვა საგუბერნიო ერობებსაც.—სამხედრო-სადოქტ საქმეთ სამმართველოში სამხედრო ექიმების თხოვნით არსდება კომისია, რომელსაც უნდა დაეკისროს იმ ბორტ-მოქმედების გარჩევა, რომელიც სამხედრო ჰოსპიტალში მოხდება სამხედრო სამსახურში მიღების დროს. —მოსკოვის პედაგოგიურმა საზოგადოებამ საზოგადო კრებაზე აუცილებლად სცნო, პოლონეთში სწავლება პოლონურ ენაზე სწარმოებდეს.

ბელგრადი. გაზეთ „პოლიტიკა“-ში ერთი ოფიცერი აცხადებს, რომ ოფიცრების მთელი კორპუსი მზათაა მონაწილეობა მიიღოს მაკედონიის აჯანყებაში, მაგრამ წინდაწინ ითხოვენ, მთავრობამ გვიჩვენოს, რა სახით უნდა ვიმოქმედოთო.

კანეა. დიდი ხნიდან მომზადებულმა უკმაყოფილებამ პრინც გიორგის წინააღმდეგ ეხლა აშკარათ იჩინა თავი. სისხლის ღვრა ხდება ჟანდარმთა და აჯანყებულთა შორის; ამიტომ საერთაშორისო ჯარების სარდალი მაშველ ძალას თხოულობს.

მოსკოვი. სამასწავლებლო ინსტიტუტის 70 ურის მკვებლებში 30 განსახლა მეცადინეობა. გაფიცულები თხოულობენ, ხელახლა მიგვიღეთო. დღეს ქალაქის საბჭოში შეიკრიბა 800 ქალაქის მასწავლებელი, რათა მოელაპარაკნათ ქალაქის მასწავლებლების უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
13 მარტი.

ხანკოუ. მცხოვრებლები ღელავენ და თხოულობენ გააუქმონ ხანკოუ-კანტონის გზის კონცესია, რომელიც მიცემული აქვს ამერიკელებს; ამ უკანასკნელებს კი ბელგიელებისთვის გადაუციათ. კონცესია ჩინელებს უნდა გადაეცეს. შეერთებული შტატები უარს აცხადებენ კონცესიის დათმობაზე. ვიცეკოროლი მიანდო მეფის თანაშემწეს თვალ-ყური ადევნოს ამ საკითხს.

სიპინგაი. ჯარებს უკანა ნაწილი ძლიერ აქვს გამაგრებული და იხევენ გამაგრებულ პოზიციებისაკენ. გუშინ ღამით სადგურ შაუმიაუზთან მტერმა შეავიწროვა ჩვენი მოწინავე კავალერიის ერთი ესკადრონი, მაგრამ უკანასკნელს მიეშველნენ და მტერი უკუგდებულ იქნა. დღეს არმიის სარდალმა დაათვალიერა ნაწილი მსროლელ პოლკისა, რომელმაც მამაცურად გაიკაფა გზა ძლიერი მტრის რიგებს შორის და შეირჩინა მხოლოდ 126 კაცი და პოლკის დროშა. გაზაფხულის დარებია.

ლონდონი, 13 მარტი. გასულ სამშაბათს ოიამამ მიიღო „რეიტერის“ კორესპონდენტი. ოიამამ უარი განაცხადა ზავის ჩამოგდების შესახებ ლაპარაკზე. მეო,—სთქვა მან, მეომარი ვარ და არა პოლიტიკოსიო·ის დიდს პატივს სცემს რუსის ოფიცრებსა და ჯარის კაცებს, რომელნიც მამაცი, ჯაფის ამტანნი და კარგი მეომარნი არიანო. ოიამას სიტყვით, იაპონია მზათაა განაგრძოს ომი იმდენს ხანს, რამდენიც საჭირო იქნება. ოიამა ჯანმრთელადაა.

სუეცი. წყნარ ოკეანეს ესკადრის ყველა გემები სამხრეთით კაემართნენ (რეიტერი).

ტოკიო. განახლდა მიმოსვლა მუკდენსა და კაირანს შორის რკინის გზაზე. ჩქარა გაასწორებენ ხიდს ხუნხეზე (რეიტერი).

ხარბინი. აქ მოსულ შანხაის გაზეთები სავსეა გულის წყრომით რუსეთის წინაამდეგ; ეს გულის წყრომა გამოწვეულია რუსეთის საზღვაო უწყებისაგან მატროსებ ოგეევის და დიაკის დამოუკიდებლად გასამართლების შესახებ; ხსენებულმა მატროსებმა მოჰკლეს ჩინელი ჯოუსენიუ. ჩინელები დაჟინებით ითხოვდნენ ეს საქმე ჩინელებმა და რუსებმა ერთად გაარჩიონ და დამნაშავენი ჩინელებს გადასცენო. რუსეთის კონსულმა უპასუხა; რომ თუ ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელთ არა სურთ დაესწრნენ საქმის გარჩევას, როგორც კერძო პირნი, იმ შემთხვევაში საქმე რუსეთის კანონების ძალით გადაწყდებაო. ამ მკვლელობის შესახებ კრება ჰქონდა 2000 ჩინელ ვაჭარს და დაადგინეს, გაუგზავნონ დეპეშა გარეშე საქმეთა მინისტრს მეფის თანაშემწეს ნანკინში, რომ სასურველია საკითხის გადაწყვეტას დაკმაყოფილება მოჰყვესო, შეატყობინონ შანხაის მოხელეებს ჩინელების საყოველთაო გულის წყრომა და ბოიკოტი გამოუცხადონ რუსეთ-ჩინეთის ბანკის ქაღალდებს, სანამ საქმე გადაწყდებოდეს. როგორც ვიცით, რუსეთის სასამართლომ 4 წლის კატორგა გადაუწყვიტა ოგეევს, დიაკი კი გაამართლა.

გუნჩულინი. ჯარს დეპეშები არ აქვს და გაზეთების ამარაა.

„მანჯურიის ჯარების უწყება“-მ დაჰკარგა თავისი სტამბის ნაწილი და შეჩერებულია. გაზეთებს რუსეთიდან ელიან. როგორც ჩინეთის წყაროებიდან სჩანს, იაპონელების ერთი რაზმი გირინისაკენ მიდის, იაპონიის ქარავნის ნაწილი მუკდენში დაბრუნეს. ჯარში არავითარი ავადმყოფობა არაა.

პარიზი. საფრანგეთის გაზეთების პეტერბურგელ კორესპონდენტების ცნობებს დიდი გავლენა აქვს. აქ ვრცელდება ის აზრი, რომ ზავის იდეა თანდათან ფეხს იკიდებს საზოგადოებაში და მთავრობის წრეებში.

პეტერბურგი, 13 მარტი. ბრძანება გამოვიდა: მიმდინარე წელს უნდა გამოწვეულ იქნას სარეზერვო კავალერიის სათადარიგო პრაპორშიკები სამორიგეო სასწავლო კრებულში და აგრეთვე ის ჯარის კაცები, რომელთაც პირველი ხარისხი აქვთ განათლებით. პირველად სასწავლებლად უნდა გამოიწვიონ ის პრაპორშიკები, რომელთაც სამხედრო სამსახური მოუხდიათ 1903-სა და 1904 წლებს, 1904 წლის სათადარიგოდ ჩარიცხული მდაბალი ჯარის კაცები, „ვოლნოოპრედელიაიუშჩები“ მოხალისენი, რომელთაც სამხედრო ბეგარა 1903 და 1904 წელს მოუხდიათ. მეორეთ უნდა გამოცხადდნენ ის პრაპორშიკები, რომელთაც 1897 და 1898 წ. მოუხდიათ სამხედრო ბეგარა და სათადარიგო მდაბალი ჯარის კაცები 1898 წ. მოხალისე „ვოლნოოპრედელიაიუშჩები“, რომელნიც 1897-ისა და 1898 წ. სათადარიგო ჯარში არიან ჩარიცხულნი.—„სავაჭრო-საფინანსო გაზეთ“-ის სიტყვით, ფინანსთა მინისტრს საჭიროთ უცვნია, ომის გამო, გამოაკლონ ორ-ორი პროცენტი იმ მოხელეების (ჩინოვნიკების) ჯამაგირს, რომელნიც 600 მანეთზე მეტს იღებენ წელიწადში, 5 პროცენტით გადიდდეს ბაჟი იმ ქონებაზე, რომელნიც უფასოთ გადადის ერთი პირიდან მეორის ხელში, გადიდდეს აქციზი ლუდზე 33½-ით, წუმწუმაზე 100 პროცენტით, შიგ სახელმწიფოში გაკეთებულ დროშზე 100 პროცენტით, საზღვარ-გარეთულზე კი 71 პროცენტით და 60 კაპეიკი დაედოს ფუთზე ნავთის ყოველგვარ დარგს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ჯარის უკან დახევა. გენ. ლინევიჩის დეპეშიდან სჩანს, რომ 12 მარტს რუსის მარჯვენა ფრთის მოწინავე რაზმი სადგურ შუანმიაუზასთან მდგარა, ტელინიდან დაახლოვებით 80 ვერსტზე, ჩრდილოეთით; მარცხენა ფრთის მოწინავე რაზმი სოფ. კანჩენძის ჩრდილოეთით მდგარა. იაპონელთა მოწინავე რაზმებიც მისულან ამ ადგილებში და რუსებს დასცემიან. გენ. ლინევიჩი იუწყება, იაპონელთა ცხენოსანთა რაზმებს უკან დავახევინეთო. იაპონელები იუწყებიან, რუსები ყველგან უკან იხევენ, ჩვენი ჯარი ფეხ-და-ფეხ მისდევსო.

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: იაპონელები ფეხ-და-ფეხ მისდევენ რუსის ჯარს; ამას გარდა მდ. ლიაოხეს მარჯვენა პირადაც მიდიან ჩრდილოეთისაკენ, მდინარიდან 30—40 ვერსტის მანძილზე, რკინის გზის დასავლეთით. ამ ადგილებში ჯერ ორი რაზმი სჩანს. ერთი მდ. ლიაოხეს მარჯვენა ნაპირ-ნაპირ მიდის; ეს რაზმი ძლიერი უნდა იყოს, რადგან მძიმე არტილერიაცა აქვს. მეორე რაზმი სინმინტინიდან ქალ. ფუკუმენში მივიდა მდ. ლიაოხედან 30 ვერსტზე, დასავლეთით. საქმე ისე მიდის, რომ რუსის ჯარმა საჩქაროდ უნდა დაიხიოს ხარბინისაკენ.

„ბერლ. ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: იაპონიის ძლიერი რაზმი გაჩქარებით მიდის წინ იმ განზრახვით, რომ რუსის ჯარი რკინის გზას მოაშოროსო. („ო. ნ.“).

„ტაიმს“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: იაპონელებმა ჩანტუფუს ჩრდილოეთით რკინის გზა მოუჭრეს რუსებსაო. („ნ.“).

„ტაიმს“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: ჰფიქრობენ, რომ რუსის არმიის დიდი ნაწილი გირინის გზით ვლადივოსტოკისაკენ წავა, მეორე ნაწილი ხარბინთან რკინის გზას დაიცავსო. ჰფიქრობენ, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ (ხარბინისაკენ) მიმავალ რუსის ჯარს გზას მოუჭრიანო. გენ. ზარუბაევისა და ზასულიჩის კორპუსები უკან მიდიან და იაპონელებს აჩერებენ გენ. მიშჩენკოს რაზმი რუსის მარჯვენა ფრთას მისდევს უკანაო. („ნ. დ.“).

„ნ. ფრ. პრესე“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: რუსის განადგურებული ჯარი უფრო და უფრო შორს მიდის ჩრდილოეთისაკენ; იაპონელები თან-და-თან მეტს ადგილს იჭერენ მანჯურიაში და რუსებს-კი უფრო და უფრო ნაკლები ადგილი რჩებათო. („ნ. დ.“).

რუსის ჯარის ზარალი. რუსის ჯარის ზარალი დღემდე არაა გამოკვლეული. 12 მარტს დეპეშამ გვაცნობა, იაპონელებმა მუკდენთან 450 ტყვე რუსი აფიცერი და 48 ათასი ტყვე სალდათი დაიბინავესო. ამას გარდა იაპონელებმა მრავალი ტყვე რუსი იაპონიაში გაისტუმრეს. „მატენ“-ის კორესპონდენტის ცნობიდან სჩანს, რომ იაპონიაში მუკდენის ბრძოლის შემდეგ 70 ათას კაცამდე უნდა იყოს მიყვანილი. კორესპონდენტი იუწყება: მუკდენის ბრძოლამდე 7 რუსის გენერალი, 661 აფიცერი და 30,228 სალდათი იყო მიყვანილი იაპონიაში. მუკდენის ბრძოლის შემდეგ-კი სასებოსა, იოკოგამასა და კობეში ტყვე რუსების რიცხვი ასი ათასამდე ავიდაო. მაშასადამე, მუკდენთან იაპონელებს 100 ათასზე მეტი რუსი დაუტყვევებიათ. („ო. ნ.“).

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი 6 მარტის თარიღით იუწყება გუნჟულინიდან: როგორც ეხლა გამოირკვა, რუსის ჯარს 2 ათასამდე აფიცერი მოუკლეს და დაუჭრესო.

ლოდიჟენსკი იუწყება დეპეშით: ზოგიერთ რუსის რაზმს მთელი ქარავანი (ფურგონი, პოვოზკა) დაეკარგა, ზოგიერთს ნაწილი. ბევრ აფიცერსა და ექიმს სულ დაეკარგათ ნივთები. ბევრი საავადმყოფო დაზარალდა და ბევრი დაჭრილი დავერჩაო. („რ. ს.“).

როცა გენ. კუროპატკინი მანჯურიაში მიდიოდა, რუსის ხალხმა მრავალი ხატი მიართვა· ეს ხატები რუსის მთავარ-სარდალმა თან წაიღო და მუკდენში თავის სადგომში ჰქონდა შენახული. იაპონელებმა ეს ხატები ხელში ჩაიგდეს და ტოკიოში გაგზავნესო. („ნ. დ.“).

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყება: რუსეთ-ჩინეთის ბანკს მუკდენში 2 მილიონის ვერცხლი დარჩაო. („ნ. დ.“).

ტელინის აღება. უცხოელ კორესპონდენტების ცნობებიდან სჩანს, რომ რუსის ჯარს ტელინთანაც დიდი ზარალი მოჰსვლია.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ პეტერბურგიდან 4 მარტის თარიღით: რუსეთის მთავარ შტაბს ცნობა მოუვიდა, რუსები ტელინთან ხელ-ახლად ძლიერ დამარცხდნენ და თავიანთ არტილერიის და საკვებ სურსათის ნაშთიც დაჰკარგესო. რუსებს ტელინში 80 ზარბაზანი დარჩათ და 10 ათასამდე კაცი მოუკლეს და დაუჭრესო. იუწყებიან აგრეთვე, იაპონელთა ყუმბარებისაგან ერთი სოფელი დაიწვა, სადაც რუსები იდგნენ, იქ დიდძალი საკვები სურსათიც დაიწვა და დიდძალი სამხედრო სურსათი გაფუჭდაო. ამ ცნობებს შემოწმება სჭირიაო. „პტი ჟურნალ“-ს სარწმუნოდ ატყობინებენ პეტერბურგიდან: გენ. კუროპატკინი დიდი ხანია დეპეშით იუწყებოდა, შეუძლებლად მიმაჩნია ტელინში გამაგრება, რადგან იაპონელები ფეხ და ფეხ მომდევენ და ხარბინის გზის მოჭრას მემუქრებიანო, სულ 100 ათასი კაცი დამრჩა ბრძოლისათვის გამოსადეგიო. („ნ.“).

სამხედრო მიმომხილველები ამბობენ: ტელინის აღებამ საბოლოოდ ფარდა ჩამოაფა

მუკდენის ტრაგედიას. ამას იქით ახალი დრამა დაიწყებაო („ნ. ვ.").

ჩინელების მოქმედება. „პოსტ"-ს ატყობინებენ მუკდენიდან: მარშალი ოიამა მთელის თავის შტაბით 2 მარტს შევიდა მუკდენს. ჩინელები ქუჩებში გამწკრივდნენ და ადგილობრივი მოხელეები მარშალ ოიამას მანჯურიის ხალხისა და ახლად დანიშნულ მეფის მოადგილის სახელით მიესალმნენო („ო. ნ.").

პარიზიდან დეპეშით იუწყებიან: ჩინეთის მთავრობა იაპონიის თანხმობით, გენ. მას არმიის გაგზავნას აპირობს მუკდენში იმპერატორთა საფლავების დასაცველადო. („ო. ნ.").

მარშალ ოიამას პლანი. „ცენტრალ ნიუს"-ს შეუტყვია: მარშალი ოიამა თავის არმიას ორ ნაწილად გაჰყოფს: 100 ათასი კაცი გენ. ნოგის უფროსობით და ადმ. ტოგოს ფლოტის დახმარებით ვლადივოსტოკს შემოარტყამს ალყას, დანარჩენი არმია-კი—250 ათასი კაცი—რუსის ჯარის დევნას განაგრძობსო. („ნ.").

რუსეთის ახალი სამხედრო პლანი. „ლოკალ-ანცაიგერ"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: აქ ჰფიქრობენ, გენ. ლინევიჩი მხოლოდ დროებით დაინიშნა მთავარსარდლადაო. როცა სამხედრო პარტია დასძლევს შერიგების პარტიას, და საბოლოოდ გადასწყვეტენ 400 ათას კაცის გაგზავნას, მაშინ მთავარ-სარდლად ერთ-ერთი დიდი მთავარი დაინიშნებაო. ახალ სამხედრო პლანს ადგენენ. ამ პლანის თანახმად რუსის ჯარი ხარბინზეც ხელს აიღებს და ციმბირისაკენ დაიხევს. რუსები დარწმუნებულნი არიან, იაპონელები მანჯურიაში მთელ წელიწადს ვერ იყოლიებენ ჯარს და თითონვე მოინდომებენ შერიგებასაო.

სამხედრო მიმომხილველები ჰფიქრობენ, ტყუილად გაჰგზავნის რუსეთი ჯარს მანჯურიაში, სულ ერთია ვერას გახდება: იაპონია უფრო მალე და უფრო ბევრ ჯარს მიიყვანსო. („ბ. ვ.").

გურიის ამბები

8 მარტს დავესწარით ლანჩხუთის საზოგადოების კრებას. ამორჩეულმა დეპუტატებმა მოუთხრეს კრიმ-გირეის თავისი უმთავრესი გასაჭირი—მიწის ვიწროობა და სიღარიბე. რიონი ნიგოითლებსავით ემტერება ლანჩხუთლებს და ხშირად წალეკავს ხოლმე გლეხის მოსავალს. მემამულეები და მათი მოურავები მეტად ავიწროებდნენ სოფელს. ერთ წელიწადს 5 ლორი მომიკლა მემამულემაო, გამოუცხადა კრიმ-გირეის ერთმა გლეხმა. ზოგი მემამულე დიდ-ხანს არ იღებს თავის ადგილებიდან მოსავალს: უცდის, როდის შევა შიგ საქონელი; მაშინ დაიჭერს და ტყავს გვაძრობს. ისეთი ვიწროობაა აქ, რომ ვერაფრის გზით ვერ გავაჩერე საქონელი, რომ არ გადაერო მემამულის ადგილებში. ამბობენ, ბატონ-ყმობა მოისპოო; მაგრამ ჩვენთვის ის სრულებით არ მოსპობილა. ჩვენ უმცირესი ადგილი გვაკუთნეს ქოხის დასადგმელად. ამ ადგილშიაც 3 მან. გვახდევინებენ წელიწადში. დანარჩენი კაი ადგილები ბატონის ხელშია და ძალა-უნებურად უნდა ვეყმოთ, რასაკვირველია. დეპუტატებმა დაწვრილებით მოუთხრეს კრიმ-გირეის გურიის საერთო სატკივარი, რომელიც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს ჩვენ კორესპონდენციებში. მხოლოდ იმას ვნატრულობ,—უთხრა ერთმა ჭაღარა-თმიანმა დეპუტატმა კრიმ-გირეის,—რომ ჩვენი შვილები მაინც არ ჩავყაროთ იმ ადუღებულ ქვაბში, რომელმაც ჩვენი ძალ-ღონე იმსხვერპლა. მე მხოლოდ 39 წლის კაცი ვარ და სიღარიბემ და მთავრობის მათრახებმა დამაბერეს ასე უდროოდ. აქაურ სახელმწიფო გლეხებს 1882 წლამდე მიწა საკმაოდ ჰქონდათ, შემდეგ კი ყველა ჩამოერთვა ეზოების გარდა. აქაც მთავრობის მიერ დაყენებულმა მამასახლისმა შეჭამა სოფლის ფული და გამოცვალეს იმის გამო.

განსაკუთრებით აღვნიშნავთ, როგორ მოეკიდა მთავრობა 1904 წელს გაფიცულ ლანჩხუთელებს. 20 აპრილს 1904 წელს როგორც ველურ ნადირებს, ისე ჩაუსაფრდა რკინის გზის ახლოს ბოქაული კვაშალი სტრაჟნიკებით ლანჩხუთელ გლეხებს, რომელნიც ყანაში მუშაობის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ. კვაშალმა ამათ გაფიცვის მეთაურობა დასწამა, ეხლა უნდოდა თავი ესახელებია და დაწინაურებულიყო მათი უდანაშაულო სისხლის დანთხევით. გამოჩნდა ყანიდან მომავალი 5 კაცი. კვაშალმა თვითონ ესროლა იმათ თოფი და სტრაჟნიკებსაც უბძანა ესროლათ (რომელმაც არ ისროლა, მერე სამსახურიდან დაითხოვეს). კვაშალმა იქვე მოჰკლა ორი ახალგაზდა გლეხი იოსებ ბრალიძე და კონსტანტინე ჩაჩავა. სხვები გაიქცნენ და სამუდამოდ დაიკარგნენ, სოფლიდან გადავარდნენ, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდათ დაეჭირეთ და გადაესახლებინეთ. მალე ჩამოვიდნენ პროკურორი და გამომძიებელი, გამოიძიეს საქმე, სთქვეს, მოკლულებს არაფერში ბრალი არ უდევთ, ეს საქმე ჩვენ არ გვეხებაო და ისევ წავიდნენ. პოლიცია დაერია ხალხს „ბუნტოვსჩიკების" აღმოსაჩენად, დაიჭირა და გადაასახლა 11 კაცი და 1 ქალი.

წამოდგა ერთი ხანში შესული ქალი და აღშფოთებულის კილოთი მოუთხრო კრიმ-გირეის, როგორ უმალავდნენ პოლიციელები დედას მათ მიერ მოკლულ ახალგაზდა კაცის გვამს და ნებას აძლევდნენ გამომშვიდობებოდა თავისი საყვარელი შვილის გვამს.

„რატო არ იჩივლეთო?" ჰკითხა კრიმ-გირეიმ კრებას. „ვისთან უნდა გვეჩივლა? თვითონ გუბერნატორი იყო ჩვენ სოფელში და პოლიციელებზე უარესად გვექცეოდა. ჩაგვიყენა ოჯახებში ორი როტა სალდათი, 100 კაზაკი და მათ სარჩენად ხუთი ათას მანეთამდე გადაგვახდევინა. ხან მათრახებს გვიცხუნებდა და ხან გვლანძღავდა. მოგვეცით დამნაშავე კაცებიო. მერე მაშინ, როცა ყველაზე მეტი დამნაშავე თვითონ იგი ჩვენი მთავრობა იყო. თავი მოგვიყარა და გამოგვიცხადა, ჩემს ნებაზე თუ არ გაივლით, ჯარს შემოგასიებთ და ქვას ქვაზედ არ დავტოვებ ამ მიდამოებშიო. ივნისში დაგვაცლევინა სახლები ჯარის დასაყენებლად. ეკზეკუცია სამ-ოთხ დღეს ჩერდებოდა თითო სახლში და შემდეგ იქ გადადიოდა, სადაც მოეწონებოდა, ისეთ დროს გადაგვახდევინეს ამ ჯარის სარჩენად ხუთი ათასი მანეთი, როცა შინ უბრალო მჭადი არ მოგვეძევებოდა საჭმელი. მთლად დაგვარბიეს, აგვაწიოკეს, წაგვგლიჯეს რაც-კი რამ გაგვაჩნდა. ეხლაც ბევრი ჰყრია ჩვენი ნივთი გაუყიდავი კანცელარიაში. თვითონ პრისტავი დადიოდა კარის-კარ ურმებითა და ჯარით, გვარბევდა და გვძარცვავდა უწყალოდ. თვე ნახევარი იდგა ჩვენში ეკზეკუცია. მერე შეგვატყეს, რომ მეტი გაძლება არ შეგვეძლო და წაიყვანეს. იმ დროზე საქონლის ჭირი გაჩნდა. არ მოგვცეს ნება ხარები შეგვება ურემში, კაცები გამორეკეს, პირუტყვებსავით შეაბეს ურმებში და წაალებინეს ეგზეკუციის ბარგი.

სულ მთლად აოხრა ეგზეკუციამ ჩვენი ოჯახები,—თამამად და მღელვარე გულით უთხრა კრიმ-გირეის დეპუტატმა ქალმა,—კაზაკებმა ღვინო დაგვპარეს, ქათმები გასწყვიტეს, სკები გაგვიფუჭეს. ჩვენი ქალები შიშით თავის სახლში ვერ შემოდიოდნენ, როცა კაცები შინ არ ეგულებოდათ, სოფელში დარბოდნენ, სახლში რომ შევიდეთ კაზაკები დაგვიჭერენ და ნამუსს აგვხდიანო.

შემდეგ კრებამ ჩააწერინა კრიმ-გირეის გადასახლებულთა, ციხეში დამწყვდეულთა და გაქცეულთა გვარები და მათი განთავისუფლება მოითხოვა. ყველა ესენი მართლის მთქმელი, ჩვენთვის თავ-დადებული ხალხიაო, სთქვეს დეპუტატებმა.

დეპუტატთა წრიდან გამოვიდა ერთი ხანში შესული, ჭაღარა-შერთული კაცი და ნამდვილ ორატორულის სიტყვით აუწერა კრიმ-გირეის მღვდლების თვით-ნებობა და სიწუწკე, იმ ღვდლების, „რომელნიც ხალხისაგან წაგლეჯ ფულით თავის შვილებს ზრდიდნენ და გლეხის შვილებს ნამდვილ ჯოჯოხეთურ წყვდიადში სტოვებდნენ. სულს რომ არ გვიხუთავდნენ და შიმშილით რომ არ გვწყვეტდენ, შეიძლება ჩვენც გაგვენათლა ჩვენი შვილები და ისინი სხვებზე უნიჭონი არ გამოსულიყვნენო".

ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენი სულიერი მამები იყვნენ ქრისტეს მაგიერი მღვდლები და როგორც დავრწმუნდით, რომ ეგრე არ არის.

შემდეგ დეპუტატებმა წარმოუდგინეს კრიმ-გირეის გურიის საერთო მოთხოვნილებანი და ამას გარდა სწავლება ყველა სასწავლებლებში ქართულ ენაზე იყოსო.

ი. ნაკაშიძე.

გლეხთა მოძრაობა

ცხინვალი. 8 მარტს ცხინვალის საზოგადოების დიდი უმრავლესობა შეიკრიბა ცხინვალის მოშორებით და ლაპარაკი ჰქონდა თავის საჭიროებაზე. მეორე დღეს, ოთხშაბათს, ბოქაულმა დაიბარა ხალხი და გამოუცხადა საყვედური - ფარულად რად იკრიბებითო; აი თქვენი კანცელარია, აქ ილაპარაკეთ, ამოირჩიეთ სანდო კაცები, რომ მთავრობის კომისიას გადასცენ თქვენი მოთხოვნანიო. პოლიცია ვერ დაესწრება ჩვენს მოლაპარაკებასო,—უპასუხა ხალხმა და ერთიანად გავიდნენ ლიახვის გაღმა. იქ მოილაპარაკეს და აირჩიეს 14 კაცი (ყველა სარწმუნოებისა, ერთი თავადიც არის მათ შორის), რომელთაც მთავრობის წარმომადგენლებთან უნდა იქონიონ საქმე. შემდეგ შემოვიდნენ ცხინვალში, ეკკლესიის კარები გააღეს, ბაირაღები გამოიტანეს და დიდის ამბით შემოიარეს მთელი სოფელი. ყოველის მხრიდან „ერთობას გაუმარჯოს!"-ო იძახდნენ. ამ დღესვე ზარების რეკითა და ქუდ-მოხდით მთელმა ყრილობამ აღთქმა დასდო—არამც და არამც ცეცხლის მოკიდება და მსგავსი ძალმომრეობა არ იქნებაო.

მიუხედავად ამისა ყველიერიდან აქეთ ხშირია ცეცხლის წაკიდებაცა და ვენახების აჭრაც, მაგრამ აქ თვითონ ხალხი არაფერ შუაში უნდა იყოს; ხალხის მღელვარებით სარგებლობენ ბოროტი პირები და, რაკი იმედი აქვთ, რომ ყველაფერს ამ მღელვარებას მიაწერენ, პირად ანგარიშებს ასწორებენ. გარდა ამისა ეჭვი აქვთ, რომ აქ პროვოკატორებიც მოქმედებენ—რაა, უფრო საზარლად ვუჩვენოთ ვისაც ჯერ არს გამოღვიძებულ ხალხის მოძრაობაო. მოძრაობის საგანი იგივეა, რაც სხვაგან: გვეყოფა დაჩაგვრა პოლიციისაგან, გვეყოფა შიმშილ-წყურვილი და შევიწროვებაო, გაიძახის ხალხი.

სხვათა შორის, ძალიან უკმაყოფილონი არიან სკოლისა: 15,000 შენობა დაგვიჯდა, ყოველ წელიწადს 500 მ. ვიხდით, 13 საჟენ შეშას და 72 მანეთის ნავთს ვაძლევთ, სკოლას ორი დღიური მშვენიერი ბაღი აქვს კარგი შემოსავლიანი; ამასაც არ სჯერდებიან—სწავლის ფულიც უნდა ვიხადოთ (ადგილობრივი მცხოვრები 3 მ. იხდის, მოსული ექვსს); აღარ შეგვიძლია მეტი, სულ გავღატაკდითო.

—

სოფ. ხოვლე. აქაურ გლეხ-კაცობის შორის ეს მესამე წელიწადია, რაც მითქმა-მოთქმაა. ახდენდნენ ყრილობებს ჯერ ვიწრო წრისას, თანდათან იზრდებოდა ეს პატარა წრეები და ეს ერთი წელიწადია, რაც ცხადლივ დაიწყეს ჯგუფური ყრილობანი სოფელ გარედ, ტყეებში და მინდორზე. თავად-აზნაურთ ბღვერა და მუქარა დაუწყეს მას შემდეგ, რაც პოლიცია ჩაერია საქმეში და იბარებდა უბნიდან ხუთ-ხუთ კაცს და ძალით ატანდა ეთქმევინებინა რაიმე „ბუნტობაზე". პოლიცია ემუქრებოდა, ამწყვდევდა რამდენისამე დღით დაბარებულთ, უეჭველად ეთქვათ, რომ მათში გურულები მოქმედობენ და ისინი აბრიყვებენ გულ-უბრყვილო გლეხთ „ბუნტობაზეო". რასაკვირველია პოლიციამ ვერაფერი გააწყო, მხოლოდ ხალხი უფრო ჩააფიქრა და დაბეჯითებით დაუწყეს ერთმანეთს მაგრება და უფრო დაინტერესდნენ გურულების ამბებით. ამ ბოლო დროს მარტის პირველ რიცხვებში გვეწვია „კომისია", როგორც აქ ამბობენ, თავ. ჯანდიერისა. ამ კომისიის დავლის შემდეგ მოძრაობა უფრო გამოაშკარავდა და მიიღო გარკვეული ხასიათი. ხალხმა მიმართა ბოიკოტს მემამულეთა წინააღმდეგ. გაფიცვა იყო ოთხ დღეს, რომელიც გამოიხატა მოსამსახურეების დათხოვნაში. ამის შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება გლეხებსა და თავად-აზნაურთა შორის. როგორც გვატყობინებენ, მორიგდნენ კიდეც. მორიგების პირობებს შემდეგ გავაცნობთ მკითხველთ.

—

ოზურგეთი. 12 მარტს 100 პლასტუნი და 100 ყაზახი რუსი ბარგი-ბარხანით გაემგზავრა ჩოხატაურში. ~~თან გაჰყვა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ამალით. ერთი კვირაა ყველგან გურიაში დაიკეტა სამრევლო სკოლები. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლა არ დაწყებულა.~~ ახლად დაბანაკებული ჯარი ოთხი ათასზე მეტია. უწესოება არა მომხდარა-რა. დღეს დარიგდა და გაიკრა განცხადებები ქართულსა და რუსულს ენებზე. აქვე მოგვყავს შინაარსი განცხადებისა:

ქ. ოზურგეთში მოსული და დაბანაკებული ჯარის უფროსი აძლევს წინადადებას ქ. ოზურგეთის და მის მაზრის მცხოვრებთ, რათა ყოველივე კანონიერი წეს-რიგი იყოს დაცული. თავიანთ საქმეების შესახებ მიმართონ მთავრობის სასამართლოებს და შეასრულონ ყოველივე მათი კანონიერი მოთხოვნილება. ვინც ამას არ შეასრულებს, სასტიკად იქმნება დასჯილი.

ყოველ-გვარ იარაღის: თოფის, რევოლვერის, ხმლის, ხანჯლისა და სხ. ტარება სასტიკად აკრძალულია. დამნაშავეს ამ მოთხოვნილების დარღვევაში ჩამოერთმევა იარაღი და იქმნება დაპატიმრებული.

ყოველ-გვარი დუქნები და სავაჭროები, რომლებიც დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში არ გამოიტანენ საჭიროდ ვაჭრობის ნება-რთვას, დახურული იქმნება.

დუქნებმა და სავაჭროებმა უნდა შესწყვიტონ ვაჭრობა საღამოს რვა საათზე და დაიწყონ დილის რვა საათზე. დამნაშავენი ამის დარღვევაში დაჯარიმებულ იქმნებიან.

სამხედრო წესების შემოღების გამო, აკრძალულია ქალაქში სიარული კერძო პირების საღამოს 8 საათის შემდეგ; ამ წესის დასაცველად იქმნებიან დანიშნული ჯარის კაცებიდან შემდგარი ღამის პატრულები (ობხოდი) ნება არა აქვთ კერძო პირთ გადავიდნენ ჯარის ბანაკის რაიონში და რაიმე კავშირი იქონიონ ჯარის კაცებთან.

ვუცხადებ ქალაქის ვაჭრებს, რომ თუ ვინიცობაა „სტაჩკა" ვამართეს ან უმიზეზოდ ფასები აუწიეს აქაურ ვაჭრობის საგნებს, ჯარებს ავუკრძალავ რამე იყიდონ ან შეიძინონ მათგან, და ყველაფერი, რაც ჯარისათვის საჭიროა იქმნება ხაზინის ხარჯით მოტანილი სხვა ადგილიდან.

უკანასკნელ ვაძლევ წინადადებას მოქალაქეთ და მცხოვრებთ დაიცვან წესიერება, შეასრულონ ყოველივე მოთხოვნილება მთავრობისა და მით ხელი შეუწყონ საჩქაროდ სამხედრო წეს-რიგის მოხსნას.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა გუშინ თავის დეპეშის საპასუხოდ **ნამესტნიკის თავ. ვარანცოვ-დაშკოვისაგან** მიიღო შემდეგი დეპეშა: „გთხოვთ გადასცეთ ტფილისის საბჭოს ხმოსნებს ჩემი გულწრფელი მადლობა დეპეშაში გამოცხადებულ გრძნობათათვის. დარწმუნებული ვარ თქვენსა და საბჭოს მეგობრულ თანამშრომლობაში ქალაქის მცხოვრებთა დასაწყნარებლად და მშვიდობიან ცხოვრების მისაღწევად".

◆ ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთებში აღნიშნული იყო, ვითომ **ტფილისის საბჭოს მიერ არჩეული** დეპუტატები მიემგზავრებოდნენ პეტერბურგს შუამდგომლობის აღსაძვრელად, რომ კავკასიის მცხოვრებთა წარმომადგენლებს ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ ბულიგინის კომისიაში. ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია და, რამდენადაც გავიგეთ, დეპუტატებს შესაძლებელია არც კი მოუხდეთ წასვლა.

◆ **ბეჭდვითი სიტყვის** მთავარ-გამგეობამ ნება დართო: გაზეთ „ტელეფონ"-ის რედაქტორ-გამომცემელს ნ. ა. გრიქუროვს და „კავკასკი ლისტოკ"-ის რედაქტორს ნ. ი. თამამშევს გამოსცენ თავიანთი გაზეთები ახალის უფრო ფართო პროგრამით. ამავე გამგეობამ ნება დართო ჟურნალ „კავკასკი ვესტნიკის" გამომცემელს გ. პ. მელიქ კარაკოზოვს, გამოსცეს ტფილისში თავისივე რედაქტორობით ახალი გაზეთი სომხურ ენაზე „ბანბერ-კავკაზის" სათაურით.

◆ 13 მარტს წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში იმყოფებოდა სასწავლებლის დამაარსებელი და მზრუნველი ბ-ნი ილ. წინამძღვრიშვილი

ფელეტონი

კახეთის ამბოხება 1812 წ.

ისტორიული ამბავი.

I

ქვეყნის დაპყრობა და შეძენა ხმლითა და იარაღით არც ისე ძნელია, როგორც ჰგონიათ. საქმე დაპყრობა და დამონება-კი არ არის, საქმე მოვლა-პატრონობაა ერისა, დადგენა სამართლისა და შემოღება დაპყრობილის ერის ზნისა და ხასიათის შეფარდებულის მართვა-გამგეობისა. ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ მოახერხა მაშინდელმა რუსის მთავრობამ. ღვთის წინაშე, ვერც მოახერხებდა. შინ რომ არა ეგარა რა, გარედ რას გაიტანდა. ბევრი იყო ჩვენში უნამუსო, ყაჩაღსავით თავზე ხელაღებული მოქრთამე მოხელე, მაგრამ ნიჭიერი, პატიოსნებით სავსე მმართველებიც მოიპოვებოდნენ, აი თუნდ თავადი პავლე ციციშვილი და მარკიზი ფილიპე ოსიპის ძე პაულუჩჩი. სულითა და გულითა ჰსურდათ ორთავეს საქართველოს დაწყნარება, გაბედნიერება, მაგრამ დახეთ ბედსა, ყველაზე მეტი მწუხარება და სევდა-ვარამი ამათ ხელში გამოიარა ჩვენმა სამშობლომ.

მიზეზი, სულ უბრალოა. თავიდანვე ახალი მთავრობა მრუდე გზას დაადგა. არ შეიწყნარა საქართველოს ერის ისტორიული უფლებანი, დასთრგუნა იგინი და ისე ეპყრობოდა საქართველოს, როგორც ველურ ტომს, როგორც უმნიშვნელო და გათახსირებულს სახანოს. საქართველო მიეკედლა რუსეთს მზა-მზარეულ სახელმწიფო მექანიზმით, ჯარით, მოხელეობით, კანონმდებლობით, პოლიცია-ადმინისტრაციით-განვითარებული წოდებრივი უფლებით,—თავად-აზნაურობით, სამღვდელოთი, გლეხ-კაცობით. მისი მფლობელობაც კლდეპატარსავით ჩამოხმული იყო და საკუთარი, გარკვეული ფორმა ჰქონდა. დარღვევას ვერავინა ჰბედავდა, რადგან დარაჯად ჩვეულება ედგა. ჩვეულება, ადათი დაწერილ კანონზე უფრო სასტიკი და ურღვეველი იყო. იგივე ჩვეულება-ადათი განსაზღვრული ჰქონდა ხარჯი და ბეგარა. ოროვენი მძიმე ტვირთად არ აწვა ერსა, რადგან პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება სადა და მარტივი იყო. ძველს ცხოვრებას ახალთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა კიდევ, რომ გლეხ-კაცის ხელში და ხმარებაში იყო მამულ-დედული, ტყე და წყალი, კანონი და ჩვეულება სამართლისა გამო ყველასათვის მისაწდომი იყო. ქართველობას პირველობითაც მოჰქონდა თავი მთელს კავკასიაში. საბუთიც ჰქონდა მარტო ის რადა ჰღირდა, რომ კავკასიის სხვა და სხვა კუთხიდან ელჩი ელჩზე მოდიოდა ტფილისსა და თელავს ერეკლესთან რჩევა-დარიგების საკითხავად. დღევანდელის ენით რომ დავასურათოთ ეს აზრი, ასე უნდა ითქვას: მეფე ერეკლე კავკასიის საერთო, საზოგადო მედიატორობას ეწეოდა. თუ არ ასეთი ბუნებრივი პირველობა ქართველის ერისა, შექმნილი კულტურის წყალობით, მაშ რითი აიხსნება თითო-ოროლა საოცარი ფაქტი წარსულისა? უსუსური ბავშვი, რაღაც 18—19 წლის ჭაბუკი ბატონიშვილი ლევან თვისობით თავს აგროვებს თავდიან-უინუღიან ოსეთს და მთელს ამ მხარეს ფეხზე აყენებს და აბრძოლებს რუსობის წინააღმდეგ. ან კიდევ ასეთი ამბავი. ყაბარდო გარემოცულია რუსის მხედრობით, აჯანყება ადვილი საქმე არ არის. ყაბარდოს თავადიშვილები წერილით ატყობინებენ სპარსეთში გარდახვეწილს ბატონიშვილს ალექსანდრეს: ჩვენ, ყაბარდოელებს, სახლ-კარი მაკარსა და მიუვალ ადგილებში გვაქვს აშენებული. თვით უფალი იფარავს ჩვენს ბინასა. იალბუზის აქეთ მობინადრე მთიელნი კასპის ზღვამდე მაჰმადის რჯულისა ვართ. იმედი გვაქვს, ჩაჩნებსაც შემოვიერთებთ.—ბარათიდან ვსცნობთ თქვენი სურვილი. გნებავთ დაიპყროთ საქართველოს პროვინციანი და ადარბეიჯანი, რაიცა გეკუთვნით სამემკვიდრეოდ მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ. 1) დრო უკვე მოვიდა. ამის გამო თქვენის მოწოდებისამებრ ჩვენ მზადა ვართ ხელი შევუწყოთ თქვენს განზრახვას. ვიდრე ამ წერილის პასუხი მოგვივა, ჩვენ საერთოდ აქაურნი მოსვენებას არ მივსცემთ თქვენს მტერსა და დუშმანსა და იარაღით ყოველგვარ ზარალს მივაყენებთო.

არ დავმალავთ, საპოლიტიკო სხეული საქართველოსი შესამჩნევად გაიხრწნა უკანასკნელ ჟამს, მაგრამ არც ისე, როგორც მეცადინეობენ აჩვენონ ქვეყანას გენერალი ქიშმიშევი და მზოვგა. 2). დიახ, რუსების მოსვლის წინა დღეს, საქართველოს ჯერ კიდევ ჰქონდა პოლიტიკური იერი და მიმზიდველობა.

მერე და რა თვალით შეხედა ახალმა მთავრობამ საქართველოს საპოლიტიკო სახელს და პრესტიჟსა, მის წარსულსა და აწმყოსა? გამოიყენა ისა სახელი და მზა-მზარეული სახელმწიფო მოწყობილობა, განადიდა და გააპატიოსნა საქართველოს ჭირნახულობა, თუ ზურგი შეაქცია და ეცადა არსებულის წესისა და რიგის დაქცევასა და დარღვევას? ჩვენდა საუბედუროდ, მთავრობამ უკანასკნელი გზა აირჩია. რუსის მხედრობას ჯერ ფეხი არ შემოედგა სამუდამოდ დასამკვიდრებლად, ჯერ არ გათავებულიყო საიდუმლოდ დიპლომატიური მიწერ-მოწერა, თუ რა პირობით იღებდა ხელს მეფე გიორგი XIII სამეფო პრეროგატივებზე, რომ პეტერბურგს საქართველო გამოაცხადეს პროვინციად და გუბერნიად.

შემდეგი მოქმედება მთავრობისა შედეგია პირველისა ნაბიჯისა. რაკი საქართველო გუბერნიად გამოცხადდა, საჭირო აღარ იყო თავის მტვრევა და თავის ტეხა. რისთვის უნდა გაეწყალებინათ გული და მიჰყოლოდნენ არსებულის წეს-წყობილების კვლევა-ძიებას, შესწავლას და შეკეთებას, სადაც საჭიროება მოითხოვდა? აგი არც შეიწუხეს თავი. აიღეს მზა-მზარეული ფორმა რუსეთის გუბერნიის მართვა-გამგეობისა და გადმონერგეს ჩვენში. ნიადაგი ქვა-ღორღიანი აღმოჩნდა და ვერ იხეირა უცხოეთიდან მოტანილმა კანონმა. ფორმა-კანონს მოჰყვა მთელი ჯოგი მოხელეებისა, რომელთაც არც ზნე და ხასიათი ერისა, არც წარსული და არც აწმყო ჩვენი არ იცოდნენ და სურვილიც არა ჰქონდათ შეესწავლათ და გაეგოთ რამე. ისედაც უხეირო კანონი გლახა და ანგარებით სავსე მოხელეთა ხელში სწორედ ღვთის რისხვად გარდაიქცა. მთელი საქართველო გაიძაბრა კაპიტან-ისპრავნიკებით, „ზემსკი სუდით", „გორნი პოსტოვით", სასინტენდანტო ვახტერებით, კომისიონერებით და სხვადასხვა კლასის ჩინოვნიკებით. ჯერ დღევანდელი მოხელე ღმერთმა შეინახოს და ამ ასის წლის წინად რაც ბძანდებოდა, ნუღარ იკითხავთ. მათი საქმენი საკმარისი და საარაკონი დაწვრილებით არის აწერილი მატიანეში.

მაშინდელს ქართველობას ჯერ თვალი რიგიანად არ მოეფშვნიტა, საბოლოოდ ჯერ არ გამოეტირა „პატარა კახი" და მებრძოლი ბატონიშვილნი, რომ ახლად მოვლენილი მოხელეობა კალიასავით მოედო ქვეყანას და მიჰყო ხელი მკვიდრის დაწიოკებას. ერი ამრიზა და ამბოხების გზას დაადგა. საკმარისი იყო ხოლმე მცირე საბუთი, რომ აჯანყება გაეჩაღებინა. 1802 წ. კახელები რომ აჯანყდნენ, იმას გაიძახოდნენ, მოგვატყუეს, დაგვპირდნენ—მეფე იქნება და ბატონიშვილებსაც-კი არ აყენებენ აქაო. 1804 წ. მთიულები გარკვევით ამბობდნენ—აღარ შეგვიძლიან მოხელეთა თვითნებობის ატანაო, ამდენს ცემასა და ვარამს სიკვდილი გვირჩევნიაო და თოფს წაავლეს ხელი.

თუ რა ჯურის მოხელეობა ესეოდა საქართველოს, ან რა ზნეობისანი ბძანდებოდნენ ეს ვაჟბატონები, დაწვრილებითა გვაქვს მოხსენებული ამ ათის წლის წინად დაწერილ წიგნში „მთიულეთი 1804 წ." და აქ აღარ შევუდგებით მათ ფიზიონომიის დასურათებას. ზნე და ხასიათი მათი არ გამოცვლილა 1812 წლისაც. მარკიზ პაულუჩჩისა და გენერალ ტორმასოვს თუ დავუჯერებთ,—ან კი რა ნება გვაქვს არ დავუჯეროთ,—უფრო გათამამებულან და თავს წასულან. აი რა თვალით უყურებდა მარკიზი მაშინდელს მოხელეობას: უნამუსობა სუფევს აქაურ რუსის მოხელეთა შორის, ღმერთი ამათ არა სწამთ და ჯვარი; მრავალს დანაშაულობას ჰკადრულობენ და ამის გამო ქვეყანა აივსო უზომო და მეტის-მეტ ბოროტ-მოქმედებით. კახეთის მღელვარებას მარკიზი [illegible] უძახდა. ეს მოხელეთა [illegible] ჩვეულებრივი ლექსი იმითი აიხსნება, რომ მარკიზი, როგორც იტალიელი, კარგად იცნობდა ამ ტერმინს. ეგები რუსული სიტყვა „ბუნტი" არც-კი იცოდა, ან თუ ეხამუშებოდა განვითარებულს ყურსა. იმავე უქვეშევრდომილეს მოხსენებაში 1812 წ. 22 მარტისა, საიდანაც ზემოდ მოყვანილი სიტყვებია აღებული, ასე ამკობს პაულუჩჩი საინტენდანტო მოხელეებს: სასურსათო უწყების მოხელენი ათასობით სჩადიან საზიზღობასა და ქურდობას. მეორე ხანია, რაც ჯარის უფროსად ვარ და ჯერ ვერ გამოვააშკარავე ეს საზიზღარი საძაგლობა და ვერ შევაჩერე ბოროტება, თუმცა გაფაცეცებით ვადევნებ თვალ-ყურსა. გენერალ თავად ციციშვილის სიკვდილის შემდეგ ხელს არ იღებენ მოხელენი ბოროტებაზე ქვეყნის დასაღუპად და ხაზინის საზარალოდაო 3). მოგეხსენებათ, რომ თვით მრისხანე თ. ციციშვილი ვერას გახდა და ვერ აღმოფხვრა მოხელეთა ბოროტ-მოქმედებანი და რაკი მათ უნამუსობას თავი ვერ აართვა, სასოწარკვეთილი აპირობდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა 4). მაღლიერი მაშინდელის ადმინისტრაციისა არც.

მოსწავლეებთან მოსალაპარაკებლად. მოსწავლეებს აქაც შეეტყოთ ამ ბოლო დროს მღელვარება. მოლაპარაკების შემდეგ მოსწავლეებმა თანხმობა განაცხადეს სწავლის განახლებაზე.

◆ 13 მარტს **ქუთათურმა დრამატიულმა** დასმა ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინა „კაი-გრაკხი". პიესამ მწყობრად და კარგად ჩაიარა, ბევრად უფრო უკეთესად, ვიდრე პირველ წარმოდგენის დროს ტფილისში. ხალხით გაჭედილი თეატრი ყოველ მონოლოგს აღტაცებით და ტაშის ცემით ეგებებოდა. დღეს, 15 მარტს, ქ-ნ დავითაშვილის და ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება ჰაუპტმანის ცნობილი პიესა „როზა ბერნდტ".

◆ თიანეთის მაზრის უფროსი სთხოვს გუბერნატორს განუმარტოს, უნდა იხადონ თუ არა მისდამი რწმუნებულ მაზრის სოფლებში **დროებით მცხოვრებმა** პირებმა სასოფლო გადასახადები. ასეთი პირები არიან: ა) ისინი, რომელნიც სცხოვრობენ გლეხებისაგან იჯარით აღებულ მიწებზე; ბ) ისინი, რომელნიც სცხოვრობენ მემამულეთა და სხვათაგან აღებულ მიწებზე; გ) მებაღეები, რომელნიც მემამულეთა მიწებში სანახევროდ ამუშავებენ მამულს. და დ) სხვა-და-სხვა ვაჭრები, რომელნიც ბინადრობენ გლეხებისგან დაქირავებულ სახლებში.

◆ 12 მარტს მოხდა **წლიური კრება** კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისა. შარშან ამ საზოგადოებას შემოსვლია 4,921 მან. დაუხარჯნია 4,596 მან. აქედან სტუდენტების დასახმარებლად გაუცია 4,034 მან. მოხდა გამგეობის სამის წევრისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. გამგეობის წევრად აარჩიეს: რ. იოანესიანი, ს. ალდადოვი და ს. ფედოროვი; სარევიზიო კომისიისა: ა. ლომანი, გ. გაბაშვილი, მ. ფედევანიშვილი, ხ. ღლონტი და ა. მუხარინსკი.

◆ 13 მარტს მოხდა **წლიური კრება** მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენების საზოგადოებისა. შარშან საზოგადოებას შემოსვლია 40,785 მან. ახალშენზე დაუხარჯავთ 14,000 მან.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებლის განკარგულებით, ტფილისის რკინის გზის სახელოსნო **სასწავლებელი დროებით დაიხურა**.

◆ ტფილისის ქალაქის საყასბოს **სალახებს განუზრახავთ არტელის** დაარსება. პროექტი არტელისა სალახებმა ქალაქის გამგეობას გადასცეს.

◆ საექსარხოსოს საეკლესიო მუზეუმიდან ამას წინად მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებას გაეგზავნა ბერძნულს ენაზე ნაწერი მე-V საუკუნის სახარება. სახარების შესწავლას შესდგომიან პროფესორი ევსეევი და ლეიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი გაგნერი. ლეიპციგიდან მოსკოვში პროფესორი ამ აზრით მოსულა.

◆ ავჭალის ქუჩაზედ, 13 მარტს ჩხუბი მოუვიდათ ტფილისის მოქალაქეს გაბრიელ ზაზიევს და თელავის მაზრის მცხოვრებს ნიკ. პ. ქავთარაძეს. ზაზიევმა სასიკვდილოდ დასჭრა ქავთარაძე, და გაქცევას აპირებდა, მაგრამ მალე დააპატიმრეს. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა,

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 12 მარტს განიხილა სანიტარო სამკურნალო ნაწილისათვის შემუშავებული სავალდებულო დადგენილებათა პროექტი, დაამტკიცა და დაადგინა წარუდგინოს საბჭოს განსახილველად.

◆ კვირას, 13 მარტისათვის დანიშნული იყო კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა. კრება არ შესდგა, რადგან გამგეობის თავმჯდომარე არ დაესწრო, და გადაიდო 20 მარტისათვის.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ჩანგური ანუ სალხინო მეჯლისი", სიმღერები, ჰიდაობის სცენები და ჩვენი ძველი ფალავნის ხიზამბარელის ცხოვრებიდან. გამ. დ. ლაზარევის მიერ. ფასი 25 კაპ.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის მოურავმა დ. ა. დორთქიფანიძემ შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს: „წარსული წლის 12 დეკემბერს გამოცემულ უმაღლეს ბრძანების თანახმად, 1892 წლის საქალაქო დებულების გადასასინჯავად განზრახულია მოწვეულ იქმნენ ქალაქების წარმომადგენელნი თათბირში მონაწილეობის მისაღებად; მაგრამ განზრახვაა, წარმომადგენლები მოიწვიონ მხოლოდ ისეთ ქალაქებიდან, რომლებშიაც მცხოვრებთა რიცხვი 50,000 სულზე ნაკლები არაა. ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაინახა, რომ თათბირზე ქალაქ ქუთაისის წარმომადგენლის დაუსწრებლობას ძლიერ სამწუხარო შედეგი ექნება, რადგან სხვა ქალაქების წარმომადგენელნი არ იცნობენ იმ ადგილობრივ განსაკუთრებულ პირობებს, რომელთაც ყურადღება უნდა მიექცეს ახალ კანონის გამოცემის დროს შესახებ ქალაქების მართვა-გამგეობისა. ამიტომ ერთხმად დაადგინა: აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა, რომ ქუთაისს ნება მიეცეს იყოლიოს წარმომადგენელი საქალაქო დებულების განხილვის დროს და ამასთან საბჭოს დადგენილება დაუყოვნებლივ დეპეშით მოგახსენოთ თქვენ".

◆ 11 მარტს ქუთაისის ახალ გენერალ-გუბერნატორს თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს ქალაქის კლუბის დარბაზში წარუდგნენ თავად-აზნაურობა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. პირველად გუბერნიის წინამძღოლის მოადგილემ თავ. დ. თ. ნიჟარაძემ თავად-აზნაურობა გააცნო გუბერნატორს, რომელიც ყველას ცალ-ცალკე მიესალმა და ბევრს ამბავი გამოჰკითხა. შემდეგ მოკლე სიტყვით მიჰმართა თავად-აზნაურობას, რომელსაც სთხოვა, დახმარება აღმოიჩინეთ თქვენის ბრძნულის რჩევით ხალხის დასამშვიდებლად და ქუთაისის გუბერნიაში არსებულ არეულობის მოსასპობადაო. ძლიერ გწუხვარ და, არ დავმალავ, ძლიერ მრცხვენიაო, —სთქვა მან, —რომ ჩვენს ქვეყანაში არეულობამ ასეთი ხასიათი მიიღო: გარეშე მტრები, უსჯულოებიც-კი პატივისცემით ეპყრობოდნენ ჩვენს ტაძრებსა და ეკლესიებს, არ სწვავდნენ და არ ანგრევდნენ მათ; მხოლოდ ამან გადაარჩინა სამუდამო განადგურებას ჩვენი მონასტრები, გელათი და მრავალი სხვა; ეხლა-კი ჩვენი ხალხი ცეცხლს უკიდებს ეკლესიებსა და სასამართლოებს. მე აქ მისთვის-კი არ მოვსულვარ, რომ სისხლი ვღვარო, არამედ იმისთვის, რომ სასურველი მშვიდობიანობა დავამყარო; და ეს-კი მხოლოდ მაშინ შემეძლება, თუ ყველა მცხოვრები, როგორც აზნაური, ისე გლეხი, შემწეობას აღმომიჩენს, როგორც სიტყვითა და რჩევით, ისე საქმით. მაგრამ, თუ არაფერი ღონისძიება გამოვიდა, მაშინ, სამწუხაროდ, იძულებული ვიქმნები იმ საშუალებას მივმართო, რომელიც მთავრობისაგან ნაბრძანები მაქვს. ბევრს თქვენგანს ხალხში დიდი გავლენა და ნდობა აქვს; ამისათვის გთხოვთ იმოქმედოთ მათზე, ჩაგონით, ახსნით, რომ მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს მათის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

◆ ქალაქის მოურავმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ეჩმიაძინში სრულიად სომხეთა კათოლიკოსს: „ქუთაისის ქალაქის საბჭომ 4 მარტს, მოისმინა-რა ჩემი მოხსენება ბაქოში სომხეთა და მუსულმანთა შორის მომხდარ შეტაკების სახებ, რომელსაც შედეგად მოჰყვა რამდენისამე კაცის მსხვერპლი, დაადგინა: ფეხზე წამოდგომით პატივი ეცა დაღუპულთა ხსოვნისათვის და მოინდომა ჩემთვის გამოეცხადა თქვენს უწმიდესობას ქუთაისის ქალაქის მცხოვრებთა გულის ტკივილი ზემო აღნიშნულ სამწუხარო ინციდენტის გამო. ვასრულებ-რა საბჭოს ხსენებულ მინდობილებას, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენის უწმიდესობის განათლებულის ზეგავლენით და ორივე ერთვნების საუკეთესო პირთა დახმარებით მოხდება ის შერიგება, რომელიც მეტად საჭიროა, განსაკუთრებით ამ ჟამად, ჩვენს მხარეში საზოგადოებრივ ცხოვრების მშვიდობიანობის და სწორი მიმდინარეობის დასამყარებლად".

◆ ქუთაისის ქალაქის საბჭო მოიწვევს თავისთვის ტელეფონის გამმართველ მსურველთ. მთავარი სადგური ტელეფონისა თვით ქალაქის შენობაში იქნება მოთავსებული. წელიწადში შვიდ თუმან ნახევარა ეღირება ყოველი აბონემენტი. ასამდე აბონემენტი უშოვნია კიდეც ქალაქს. ინჟინერი ალიბეგოვი 12 მარტიდან უკვე შეუდგება ამ საქმეს და საბჭოც უცხადებს მცხოვრებთ დასწრაფონ განცხადება, თუ ვისაც სურს იქონიოს ტელეფონი.

◆ მეწაღეთა ქარხნებისა და შეგირდების მიერ ქუთაისის ქალაქის ქუჩებში გაკრულია შემდეგი განცხადება: მოთხოვნილებანი მეწაღეთა ქარხნებისა და შეგირდებისა: ა) თორმეტ საათით განსაზღვრა სამუშაო დღისა როგორც ქარხნებისა, ისე შეგირდებისათვისაც, დილით საუზმისათვის ნახევარ საათით და სადილისათვის ერთის საათით შესვენებით. ბ) მუშაობა უნდა დაიწყოს პირველ აპრილიდან დილის შვიდ საათიდან და პირველ ოქტომბრიდან დილის რვა საათიდან. გ) აკრძალულ იქმნას ნაჭრობით მუშაობა. დ) დაწესდეს თვიური ჯამაგირი. ე) აკრძალოს კვირა უქმე დღეებში მუშაობა. ვ) ზრდილობიანი მოქცევა ოსტატებისაგან ქარხნებისა და შეგირდების მიმართ. ზ) გაუმჯობესება ბინის სისუფთავისა ჰიგიენურის მხრივ.

რუსეთის ქრონიკა

ყაზანელ თათრების მოთხოვნანი. ყაზანელ თათრებს წარუდგენიათ მინისტრთა კომიტეტში თავიანთი მოთხოვნანი. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი; 1) სასულიერო მთავრობა ყაზანელ მაჰმადიანებისა უნდა აირჩეს თვით მაჰმადიან ხალხის მიერ; 2) მაჰმადიანების საქორწილო, საოჯახო და და მემკვიდრეობითი საქმეები მხოლოდ ამ არჩეულ სასულიერო მთავრობის ხელში უნდა იქმნეს; 3) მაჰმადიანებს უნდა მიეცეთ უფლება თავისუფლად უპასუხონ მაჰმადის რჯულის კრიტიკოსებს; 4) ძალით გაქრისტიანებულთ ნება მიეცესთ დაუბრუნდნენ მაჰმადიანობას; 5) მაჰმადიან საზოგადოებას უნდა მიეცეს ყველა უფლებანი, რომელიც მართლმადიდებელ სამღვდელოებას აქვს; 6) რუსულის არ ცოდნა ხელს არ უნდა უშლიდეს სასულიერო თანამდებობის მიღებას; 7) მაჰმადიანებს უფლება უნდა ჰქონდეთ თავიანთ ენაზე გაზეთების გამოცემებისა იმავ წესით, რა წესითაც რუსებს ექნებათ; 8) კერძო პირებსა და საზოგადოებათ უფლება უნდა ჰქონდეთ სკოლების გახსნისა; ამ სკოლებში სწავლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს. („რუს").

პოლიციელების თვითნებობა. მოგილიოვიდან სწერენ „რუსკ. ვედ."-ს: „ქალაქის გამგეობაში შემოვიდა მცხოვრებთა განცხადება—20 თებერვალს ორმოცდაათზე მეტი მშვიდობიანად მოსეირნე მცხოვრები დაიჭირა პოლიციელებმა, წაიყვანა სამმართველოში და იქ გაჩხრიკა. შემდეგ სატუსაღოსაკენ წაიყვანეს და გზაში ისე სცემეს, რამდენიმე მათგანი უგონო იქმნა. აგრეთვე ძალმომრეობა იყო 21 და 22 თებერვალს. ერთის სახლის მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ პოლიციელები და დვორნიკები მაღლა ისროდნენ დაჭერილებს, ფეხებით სთელავდნენ და ჯოხით სცემდნენ. ამიტომ მოგილიოვის მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას მიიღოს ღონისძიებანი მცხოვრებთა დაფარვისა პოლიციელების ძალმომრეობისაგან".

გუბერნატორმა აუკრძალა საბჭოს ამ განცხადების წაკითხვა, შემდეგ კი ნება დართო.

ახალი სესხი. რუსის მთავრობამ ახალი შინაგანი სესხი გამოსცა, ხუთ პროცენტიანი; ათ-თუმნიანი ქაღალდი ცხრა თუმნად ფასობს. შეთანხმება ბანკებთან და კაპიტალისტებთან შვიდ მარტს მოხდა. როცა ბირჟამ გაიგო ეს ამბავი, ყველა ფასიანი ქაღალდები საშინლად დაეცა. ჯერ ფასების ასეთი დაცემა არ ყოფილა ომიანობის დაწყებიდან. (რ. ვედ.).

ბულიგინის კომისია. „სინ ოტეჩესტვა"-ს გაუგია, რომ ბულიგინმა გადასწყვიტა მოკლე ხანში მოიწვიოს ერობის წარმომადგენლები, რომელთაც საერობო კრებანი აირჩევენო. შემდეგ კომისია შეუდგება იმის წესების შემუშავებას, თუ როგორ უნდა აირჩიონ წევრები იმ დაწესებულებისა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საკანონმდებლო მოქმედებაში.

ცენზურა კავკასიაში. კავკასიისა და პოლონეთის საცენზურო წესებზე მოსალაპარაკებლად კობეკოს კომისიას გაუწვევია ადგილობრივ საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარენი.

პოლიცია თავისას არ იშლის. 6 მარტს ტენიშევის სასწავლებელში კრება უნდა მომხდარიყო ბეჭდვითი სიტყვის საჭიროების შესახებ. ასეთი კრება ნება დართულია 18 თებერვლის ბრძანებით. მაგრამ 4 მარტს ტენიშევის სასწავლებლის ადმინისტრაციას კატეგორიული განცხადება მოსვლია ადგილობრივ ბოქაულისაგან, რომ აკრძალულია სასწავლებლის აუდიტორიაში კრების მოხდენაო. ამის გამო ლიტერატორთა ჯგუფს მიუმართავს პეტერბურგის გრადონაჩალნიკისათვის და უთხოვნია, აგვიხსენით ბოქაულის მოქმედებაო და ამასთანავე 18 თებერვლის ბრძანებაზე მიუთითებიათ. ამაზე გრადონაჩალნიკს ასეთი პასუხი მიუცია: ბრძანების ძალით ცალკ-ცალკე პირებს შეუძლიათ განცხადების შეტანა, კოლექტიური სჯა-ბაასის ნებას კი არ იძლევაო. აი, ამიტომ აგეკრძალათ 6 მარტის სალიტერატურო კრებაო. როცა ლიტერატორებმა ჰკითხეს, როგორ შეგვიძლიან ყველამ ცალკ-ცალკე აღვძრათ შუამდგომლობა მწერალთა კავშირის განახლებაზეო,—გრადონაჩალნიკმა უპასუხა, რომ იგი ნებას დართავს კავშირის დამფუძნებელთა კრებას იმ პირობით კი, რომ 30 კაცზე მეტი არ იქნეს და მხოლოდ კავშირზე ილაპარაკონო. ასე და ამ გვარად 6 მარტს აღარ შესდგა ლიტერატორთა კრება. („რუსი" და „ბირჟ. ვედ".).

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან".

14 მარტი

ტოკიო. (რეიტერი). ოფიციალურად აცხადებენ, რომ რუსებმა ხენნშიანიდან გოლუნშისაკენ დაიხიესო. რუსეთის კავალერიის ერთი ესკადრონი მინხუანშიხეში დაადგა. გირინის გზაზე მხოლოთ რუსის პატარ-პატარა რაზმები სჩანან. ადგილობრივ მცხოვრებლების სიტყვით რუსის 200 კავალერისტი ტიშენკუში, დგას, 600 ქვეითი და კავალერისტი ტაოულუში იმყოფება 420 არა სამხედრო პირი, რომელნიც ტყვეთ მოჰყვნენ მუკდენში, იაპონიის ავანპოსტებზე გაატარეს; 344 კაცი, მათი თხოვნისამებრ, სამხრეთით იქნებიან გაგზავნილი და ჩიფუსა, ან შანხაიში გაანთავისუფლებენ.

პორტ-საიდი. მოვიდა რუსის სატრანსპორტო გემი „ლივონია" და ვლადივოსტოკისაკენ გაემართა.

ტოკიო, 13 მარტი. (რეიტ.) მუკდენიდან მოვიდა პირველი ჯგუფი ტყვე რუსებისა. დემონსტრაცია არ მომხდარა.

ტოკიო, 11 მარტი. („ტაიმს"-ი) ოფიციალური ცნობით იაპონიის წინა რაზმები, დაბინავებული რკინის გზის ორივე მხარეს, ასი მილის მანძილზე არიან მუკდენიდან. ლიაოხეს მიდამოებიდან გააძევეს რუსები. მუკდენში დატყვევებული რუსები, არა სამხედრო პირნი განათავისუფლეს იაპონელებმა, სულ 421 კაცი; მათ რიცხვში 47 მოხელე და 9 მოწყალების და.

ტოკიო, 13 მარტი. („დეილი ტელეგრაფ"-ი). გუშინ გაიხსნა ხელის მოწერა შინაგან $4^{0}/_{0}$-იან სესხზე. საიმპერატორო გვარეულობამ 20 მილ. იენზე მოაწერა ხელი. იაპონელებმა ამოიღეს წყლიდან რუსის სატრანსპორტო გემი, რომელიც პორტ-არტურში იყო ჩაძირული.

სანდაკანი, (რეიტერი). 5 მარტს. მოვიდნენ ლაბუანში იაპონიის კრეისერები „კასაკი", „ჩიტოზე", „ამერაკამირუ" და „იამატამარუ" ადმირალ დევის სარდლობით და 6 მარტს ისევ წავიდნენ.

სიდნეი, (რეიტერი). 8 გემს ამზადებენ, რათა გონკონგში ათი ათასი ცხენი გადაიყვანონ; ეს ცხენები იაპონიის მთავრობამ იყიდა.

ვარშავა, 13 მარტი. საღამოს 8 ს. და 15 წ. პრაგის ნაწილის ყაზარმას უცნობმა ყუმბარა ესროლა, დასჭრა 4 გოროდოვოი, 2 გარეშე პირი და თავისი თავი. ორი სასიკვდილოდ არის დაჭრილი. ბოროტ-გამზრახველი დაიჭირეს. ხსენებულ ადგილისაკენ გაეშურა ობერ-პოლიცმეისტერი ნოლკენი, მაგრამ გზაში მასაც ყუმბარა ესროლეს და მძიმედ დასჭრეს სახეში და მარჯვენა ფეხში; დაჭრილი მის სადგომში წაიყვანეს. ექიმების სიტყვით, ნოლკენი არ მოკვდება. აფეთქების ადგილას დაიჭრა იქვე მიმავალი ქალიშვილი. ყუმბარის მსროლე-

---

მთავარ-მართებელი გენერალი ტორმასოვი ბრძანდებოდა. გენერალი სურამს ასულა და მოხელეები ვერ უპოვნია, მზად არაფერი ჰქონიათ, არც სურსათი, არც ბეგრის ურმები. განზრახვა მაქვს,—სწერს სურამიდან ტორმასოვი საქართველოს გამგებელს გენერალ-მაიორ ახვერდოვს,—ბოლო მოვუღო მოხელეთა დაუდევნელობას, უთაურობასა და უსაქმურობას, რადგან, როგორც ვატყობ, სათემო პოლიციაზე გარყვნილი და გაფუჭებული სხვა არა მეგულება-რაო. იმასაც ვფიქრობო,—ამბობს ტორმასოვი, რომ აქაურ პოლიციაზე ცუდი და უვარგისი მთელ ქვეყნიერობაზე არა მოიპოვება-რაო [5]).

მთავარ-მართებელი ემუქრებოდა ახვერდოვს, [illegible], თუ არ ეცადე და სათემო პოლ[illegible] 4. [illegible]ეთ. მაგრამ კუზიანს მარტო [illegible] რებს, ბრძანება და დატუქსვა არა [illegible] გათახსირებული მოხელეობა თამამად განაგრძობდა ხალხის დაწიოკებას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მარტო ოხერი და ტიალი მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. რიგიანი, მადლიანი კაცი არ ეტანებოდა ცხრა მთას იქით გადაკარგულს საქართველოს. აქ წამოსულს დიდი უპირატესობა ჰქონდა სამსახურში, მაგრამ მაინც პატიოსანი მოხელე ვერა ჰბედავდა გადმოსულიყო რადაც ჯანდაბა „გრუზია"-ში. „ესაა მიზეზიო,—ამბობს საგენერალო შტაბის კაპიტანი ნ. ს. ანოსოვი,—რომ კავკასიაში მოდიოდნენ მომეტებულ ნაწილად ისინი, ვინც ცხოვრებას გაერიყა, ვისაც აღარ ედგომილებოდა შინაგულ რუსეთში, საეჭვო ზნეობისანი, ხარბნი და გაუმაძღარნი, ვერცხლის მოყვარენი და ანგარებით სავსენი, შებღალულის სახელისა და რეპუტაციისა. ხალისით მოდიოდნენ ესენი კავკასიაში იმ იმედით, რომ დავიკმაყოფილებთ ქვენა გრძნობათა და ალღოსა ამ მოუწყობელ ქვეყანაში, საიდანაც „ღმერთი ძალიან მაღლა იმყოფებოდა და მეფე მიუწდომელ სიმაღლეზე" [6]).

თურმე ნუ იტყვით, ეს შესანიშნავი ანდაზა, მაჩვენებელი იმისა, რომ სამართლის კარს ვერ მიაგნებ, რადგან მოსამართლენი: ღმერთი და მეფე შორს არიანო, ჩვენის კურთხეულის სამშობლოს ნიადაგზე აღმოცენებულა. დედა-აზრი ანდაზისა ნახსენებია პირველად ქიზიყში, ს. ბოდბისხევში. სიღნახის მოურავს თ. იოსებ ანდრონიკაშვილს შესჩივლეს ბოდბისხეველებმა და მოახსენეს, რომ სამართალი გაწყდა ჩვენთვისაო. სასამართლოში საჩივლელად რომ მივდივართ, კარები გამოკეტილია ხოლმეო. მივედით საჩივლელად ამის გამო კაპიტან-ისპრავნიკთან და კახეთის ოლქის უფროსთან გენერალ პორტნიაგინთან და ასე გვითხრეს: რა სჩივით, რასა სჩივით? „სამართალს ვინ გაგიჩენთ? ღმერთი და მეფე შორს არიანო" [7]). დასრულებული ფორმა მიუღია ანდაზას თ. ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის წერილში. სახელოვანს პოეტს ცალკე წერილით მოუხსენებია 1837 წ. იმპერატორ ნიკოლოზისთვის, რომ როცა შეწუხებული და ილაჯგაწყვეტილი ხალხი მიჰმართავდა რუსის მთავრობის დაბალ ხარისხოვან მოხელეს და ეტყოდა,—ნუ გვაწუხებთ, ან ღმერთი, ან მეფე მოიგონეთო, თურმე მოხელენი ასე უპასუხებდნენ: გასწით, წადითო, რას დაგვჩკლებით, „И до Бога высоко, и до Царя далеко". [8]).

„მოხელენიო,—გვიამბობს კაპიტანი ანოსოვი, თავიანთ თავს ისე უყურებდნენ, როგორც ქართველების „კეთილის-მყოფელთ", „გამბედნიერებელთ" და „მხსნელთა". ამის გამო რიდი და ხათრი არა ჰქონდათ, არ ერიდებოდნენ ადგილობრივ მკვიდრსა და ჰფიქრობდნენ, რომ „ტუზემცები" უნდა გამსჭვალდნენ მადლიერობის გრძნობით და სიტყვის შეუბრუნებლად და ფეხის გაუნძრევლად აასრულონ მათი ჟინი, ახირება და გულის თქმა, თუნდ რომ ნამეტანი და წრეს გადასული იყვეს ჟინიანობა და გულის თქმა. მოქრთამეობას და ფულის უკანონო მოხვეჭას საზღვარი არა ჰქონდა. ქრთამის აღებაში ყოველი რიდი და თავაზიანობა მოისპოთო."

ასე სასტიკად და ულმობელად ამკობს თანამედროვე რუსის მწერალი მაშინდელს მოხელეობას. კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, აკი რა საკვირველია, ამას თუ დავუმატებთ ჩვენც.—უცნაური არსებაა მოხელე. შეიძლება ფერი და ხორცი იცვალოს, მაგრამ სული და არსება უცვლელია. თითქოს ხანი და ჟამი, თითქოს ცივილიზაცია და კულტურა არ არსებობს მისთვის. ზოგიერთი გუშინდელი ამბავი სწორედ ასლია მაშინდელისა. ერთის სასწავლებლის უფროსს, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, არც აქტები წაუკითხავს და არც რუსთა მფლობელობის დამკვიდრების ისტორია, ბავშვებისთვის მიუმართავს, რას ეპრანჭებით და იგრიხებით, ჩვენი „მადლობელნი" და „მადლიერნი" უნდა იყვნეთ, თორემ ოსმალთა და ყიზილბაშთა ჭარამხანებში ამოგხვდებოდათ სულიო. ვინ იცის, ეგება ჭარამხანაში ყოფნა კიდეც სჯობდეს დამყაყებულ, დაობებულ გუდიდან გესლიანისა და შხამიანის ამოსასუნთქის ყნოსვას.

ძველის საქართველოს წეს-წყობილება უფრო ფეოდალურ-არისტოკრატიული იყო. მართვა-გამგეობა და ლაშქარი თავადობას ეკითხებოდა. მღვდელ-მთავარნი, მდივან-ბეგნი, მსაჯულნი, მოურავნი და სარდალნი მომეტებულად დიდის გვარისანი იყვნენ. ხალხიც მიჩვეული იყო თვითეულს გვარსა. თიანელები, ფშავ-ხევსურნი ისე შეეჩვივნენ ჩოლოყაანთ გვარის მოურავობას, რომ სხვა გვარის კაცის დანახვა თვალითაც არ უნდოდათ. პოლპოლკოვნიკ იასე ჩოლოყაშვილის სიკვდილის შემდეგ, ადათისა და ჩვეულების ძალით, მოურავობა ეკუთვნოდა ბატონიშვილის როფსიმე გიორგის ასულის შვილებს, ზურაბსა და ალექსანდრე ჩოლოყაშვილებს, რადგან მცირე წლოვანი ზურაბ და ალექსანდრე პაჟთა კორპუსში სწავლობდნენ, მათი მოურავობა არ იქნებოდა. მარკიზ პაულუჩჩის სურდა ჩოლოყაანთ გვარი, ვითარცა მოღალატენი, მოეშორებინა თავიდან და თიანეთის სამოურავო ჩაებარებინა რუსეთის სხვა მომხრე და ერთგულ გვარისათვის. შემდეგ ზურაბ ჩოლოყაშვილი სრული წლოვანი რომ შეიქნებოდა, მაინც მოურავობას ვერ მიიღებდა, რადგან სამოურავოს მაგიერ, რიფსიმეს თხოვნით, შვილებს სათითაოდ წლიურად 500 მ. პენსია დაუნიშნა მთავრობამ და ზურაბი თუ მოურავობას მოითხოვდა, ეტყოდნენ,—რადა გინდა, პენსიას იღებ და შენს ქერქში იყავიო. ასე ჰფიქრობდა და ბჭობდა მარკიზი, მაგრამ თიანელები და ფშავ-ხევსურნი სხვა თვალით უცქეროდნენ თავიანთს უფლებას.

სამოურავოდ მარკიზმა აარჩია თავადი მაყაშვილი, დაჯილდოვებული კოლლეჟსკი სოვეტნიკის ჩინით. მაყაშვილი ჟამთა მეფობისა სახლთუხუცესობდა და, მარკიზის აზრით, კახელობა დიდ პატივსა სცემდა. რუსის მთავრობისა და სამსახურისაც ერთგული ყოფილა [9])

უშეღებელი აურზაური ასტეხეს თიანელებმა—არ გვინდა მაყაშვილი, 500 წელიწადზე მეტია, რაც ჩოლოყაანი გვმოურავობენ და სხვას როგორ [illegible] ჩვენშიო. მაყაშვილმა მარკიზზე უკეთ იცოდა თვისთა თანამემამულეთა ზნე-ხასიათი და ხელი აიღო თიანეთ-ფშავ-ხევსურეთის მოურავობაზე. ასე გასინჯეთ, ისიც-კი ვერ გაჰბედა, რომ თვალით მაინც სჩვენებოდა თიანელებს. მთავარმართებელმა რტიშჩევმა თიანელებს მოურავად დაუდგინა, თხოვნისამებრ თ. გრიგოლ ჩოლოყაშვილი. [10]). თიანელებმა თვისი გაიტანეს და მოურავად ჩოლოყაშვილი იშოვნეს. თუ ქართველთა ერის თემები ასე შეეჩვია და ერთგულობდა სათითაო გვარსა, ახლა იფიქრეთ, რა გუნებაზე იქნებოდა მაშინდელი დიდ-კაცობა, მიჩვეული მართვა-გამგეობას, წვრილ-ფეხა მოხელეთა უოლოჩინობას რომ დაინახავდა? ფეოდალურ ქვეყანაში რუსის მთავრობამ გაბატონა ბიუროკრატიული სისტემა მართვა-გამგეობისა, ეს კი ისეთი წესია, რომელიც უკარგავს ფასსა და იერს გვაროვნებას და შთამომავლობას. [11]). ხშირად პატარა, უთავისტომო მოხელე, დიაკვნისა, ან ნასალდათარის შვილი, ნელ-ნელა მიცოცავს საიერარქიო კიბეზე და ბოლოს, დაჯილდოვებული ჩინ-ორდენებით, იბერება და იფხვირება ინდოურსავით. ამისთანა ბიუროკრატს ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნად.

ა. ფრონელი

(შემდეგი იქნება)

---

[1]) რუსულად: слѣдумые вамъ во владѣніе по смерти царя Ираклія Адербейджанъ и Грузинскія провинціи. იხ. Акты... т. IV, გვ. 125.

[2]) იხ. Послѣдніе годы Грузинскаго царства პირველისა და Сношенія Петра Великаго съ Армянскимъ народомъ—მეორისა.

[3]) დედანში: тысяча дѣлаемыхъ подлостей чиновниками провіантскаго вѣдомства...

[4]) იხილე „მთიულეთი", აქტები, ტ. II და „утвержденіе Рус. Владычества"... т. II, გვ. 340.

[5].) იხ. Акты, т. IV, გვ. 47; утв., ტ. II, გვ. 340. დედანში: не нахожу ничего распутнѣе земской полиціи и которой хуже, я думаю, нигдѣ нѣтъ.

[6]) იხ. Утв... ტ. II, გვ. 341.

[7].) იხ. Акты, т. V, გვ. 62. რუსულად: Кто можетъ доставить вамъ судъ? Богъ далеко и Государь.

[8].) კაპიტან ანოსოვის აზრით, ამას დაბალ ხარისხოვანი მოხელენი ამბობდნენო. თუ გენერალი პორტნიაგინი დაბალია, მაშ მაღალი ვიღაა? ყველა ხომ მთავარმართებელთან ვერ გაიქცევოდა საჩივლელად.

[9].) იხ. Акты, т. V, გვ. 106—108.

[10]) რტიშჩევი ზურაბს ზაქარიად იხსენიებს. Акты, т. V, გვ. 527-528, Утв. ტ. II. გვ. 384—385.

[11]) სიტყვა „ბიუროკრატია" ბ-ნ ანოსოვს აქვს ნახმარი, იხ. Утв. ტ. II. გვ. 338.

დი მიიმალა, მოჰკლა რა გოროდოვოი, რომელიც უკან მისდევდა მას.

ვარშავა, 14 მარტი. გუშინ უუმბარის მსროლელი დაიჭირა პრისტავის თანაშემწე ხვოშჩინსკიმ. უუმბარა სამორიგეო ოთახში ესროლნა. ძელები დაინგრა. უიმედოა მძიმე დაჭრილ პოლიციელების ვილდერის, მოტლიცკის და სარადის მდგომარეობა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
14 მარტი.

ლონდონი. თანახმად ტოკიოდან მოსულ დეპეშებისა იქაური გაზეთები ძლიერს პროტესტს აცხადებენ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან მიღებულ ზომების წინააღმდეგ, ხსენებულ შტატებს გადაუწყვეტია ამ დღეებში არ მისცენ იაპონიის ქვეშევრდომთ ნება ამერიკის ქვეშევრდომობაზე. გაზეთები ამ ზომებს იაპონიის დამამცირებლად სთვლიან. იაპონიაო, ამბობენ გაზეთები, აღარ სთვლის თავის თავს მდაბალ რასათო.

აოკენჰაგენი. ოფიციალური ცნობებით მეფე ედუარდი ინახულებს მეფე ხრისტიანეს 26 მარტს. ჰფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში საქმე შორეულ აღმოსავლეთში ზავის ჩამოგდებას შეეხებაო.

ტოკიო. 13 მარტს გამოქვეყნებულ მიკადოს ბრძანებით ნება დართულია გამოიცეს 300 მილ. იენიანი გარეშე სესხი. დაბრკოლებას არ ხედვენ, რადგანაც იაპონიის მებანკეებმა ეხლახან სიტყვა მისცეს, ას მილიონზე მოვაწერთ ხელსო.

ტოკიო, 13 მარტი. დღეს განათავისუფლეს სამხედრო კორესპონდენტები, რომელნიც მუკდენში დაიჭირეს ამ რამდენიმე დღის წინად შიცუოკაში მოიყვანეს.

შანხაი. იაპონელებმა შეატყობინეს ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ რუსის გაქცეულ ჯარის კაცები სოფლებში იმალებიან ლიაოხეს დასავლეთითო. ბრძანებაა, გასცენ გაქცეულები. ჩინელები იუწყებიან, ბევრ რუსებს, რომელთაც გზა აქვთ მოჭრილი ლიაოხეს დასავლეთ ნაპირისაკენ დასახევი, სცდილობენ შანხაიგუანამდე მივიდნენო.

ტოკიო. იაპონელები ცოტა ყურადღებას აქცევენ ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკს ისინი ერთავად გამსჭვალულნი არიან უმთავრესად იმ მიზნით, რომ გულ-მაგრათ გიუაიტანონ ეხლანდელი მსხვერპლი, რათა სამერმისოთ უშიშარ ჰყონ თავიანთი ქვეყანა რუსების აგრესიულ პოლიტიკისაგან.— ოფიციალური დეპეშები იუწყებიან, რომ იაპონიის ჯარებმა თავი დააღწიეს ხელოვნურ დაბრკოლებებს და ფართო ფრონტით ილაშქრებენ რკინის გზის ორივე მხრივო; წინა ჯარები უკვე ასი მილის მანძილზე იმყოფებიან მუკდენიდან ჩრდილოეთით. რუსებმა მთლად გასწმინდეს ლიაოხეს მიდამოები. წინდაწინ ამბობენ, რომ როცა რუსების საერთო ზარალის რიცხვს ფუშუნის რაიონიდან შეავსებენ, მაშინ სულ ოც ათას კაცზე მეტი იქნება ზარალიო. ჰფიქრობენ, რომ რუსების ჯარები, მაშველიანა ერთად რომ ავიღოთ, 130 ათას კაცამდე ავაო.

პეტერბურგი. ინფანტერიის გენერალ ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. 13 მარტის თარიღით: „ღამით არ მომსვლია ცნობები ჯარებიდან“.

კობე. „დელი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტს უნახულებია ამერიკელი პოლკოვნიკი გოვარდი და კაპიტანი იუდრონი, რომელნიც ტყვეთ წაიყვანეს იაპონელებმა მუკდენთან, 25 თებერვალს. ხსენებულ აფიცრებს უთქვამენ, ჩვენ 24 თებერვალს ეჭვიც არ გვქონდა, რომ აუცილებელი იქნებოდა უკან დახევაო. ქალაქიდან დილით გასულან, მაგრამ იუდსონი დარჩენილა, როგორც ავადმყოფი და გოვარდს გაუყვია მისი ხვედრი, როგორც ამხანაგის. დილა ადრიან იაპონელებს დაუჭერიათ ქალაქი დღეს აქ მოვიდნენ კორესპონდენტი ლიტლი, ბარონი კრიგლშტეინი, ნოდო და მაკ-კულანი; მათ კოვალერიის უნტერ-აფიცერი მოჰყვა. მათ განაცხადეს, რომ იაპონელნი ძალიან კარგათ გვეპყრობოდნენო. კორესპონდენტებს უკვირთ, ჯერ დროებით დაზავების წინადადება არ მიელოთ და ზავზე კი დაიწყეს ლაპარაკიო. არავინ არ მოელოდა უკან დახევას, მაგრამ უც მოვიდა კუროპატკინის ბრძანებაო.

პეტერბურგი. ამა მარტის [illegible] გამოცემულ უმაღლესი ბრძანება: „მის იმპერატორე უმაღლესობის დიდი მთავრის კონსტანტი კონსტანტინეს ძის მეუღლეს, მის იმპერატო რებით უმაღლესობას დიდ მთავრინას ელისაბ მავრიკის ასულს ქალი ეყოლა, რომელსაც ტალია ეწოდა. ვუბრძანებ უმართებელესს სენატ მოახდინოს განკარგულება, რათა ამ ახალ და დებულ კნიაჟნას, იმპერატორის ნათესავს, მის და კუთვნილ ტიტულისამებრ, ეწოდოს სა საპირო, მისი უმაღლესობა. ნამდვილზე მა იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარ ხელითაა მოწერილი: „**ნიკოლოზი**“. ცარ სკოე სელო, 1905 წ. 10 მარტი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

სამგზავრო ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებ' გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამმაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.);. 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დღის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა““

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. ოფ ასე ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, -სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, ახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

გამგეობა ფოთის სამარხი კასისა აცნობებს თავიანთ წევრთა, რომ კვირას, 20 მარტს, 1905 წელს, ნაშუადღევის 6 საათზე, ფოთის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია **საზოგადო კრება** წევრთა. კრება განიხილავს 1904 წლის ანგარიშს; აარჩევს თანამდებობის პირთ; გადასწყვეტს გამგეობის წევრთა ჯილდოს და განიხილავს საქმეს კასის წევრის ხელიას სიყალბით შესვლის შესახებ კასის წევრთა რიცხვში. (3—6.—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

◆ კბილებს ◆

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—16).

«,იგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კ ი ო ს კ შ ი

ლორის-მელვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაძე.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელთ, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერის.	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ევანგულოვისა	—	1

საუკეთესო

ყვავილის

ო-დე-კოლონი

№ 4711

რეინის თაიგულები

მშვენიერი და იაფი სასხურებელი ხელსახოცებისათვის.

უოველგვარ ყვავილისა და მოდის სურნელობისა

(6—მც.—4)

№ 4711

ო-დე-ლი

(EAU DE LYS)

თეთრ გარდის, ფერ და ყვითელ ფერისა

ყველას მიერ ცნობილი, როგორც საუკეთესო საპირფარეშო საშუალება პირის დასაბანად, ახალგაზდობის შესანარჩუნებლად, ჭორფლის მოსაშორებლად და სახის გასაწმენდად.

მოთეთრო

რ ძ ი ს

ს ა პ ო ნ ი

Sauon au lait de lys

მეტად ნაზი

ვურჩევთ ყველას იხმაროს კანის გასათეთრებლად და გასანაზებლად

ერთად ერთი მექარხნე

ფერდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

მისის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ნავთის მწარმოებელ საზოგადოების

„ნობელ“

გამგეობა იწვევს ბ-ნ პაის პატრონთ წლიურ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 20 მარტისათვის, ქალაქის საბჭოს დარბაზში, საღამოს 8 საათზე. კრებამ უნდა გინიხილოს და დაამტკიცოს უკანასკნელ საოპერაციო წლის ანგარიში და დაადგინოს ამხანაგობის საქმეთა ლიკვიდაციის წესი. (3—96—3)

СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—208.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის

საკერავი მაშინები

ყოველივე თავის მოწყობილებით.

ფასი ძლიერ პირიანია

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა.

(15—1) პატივის-ცემით **გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები.**

პირველი საწყობი შ ე შ ი ს ა

ც უ დ ა დ დაწყობილი **ბ. ი. კურცხალიასი** **კ ა რ გ ა დ დაწყობილ**



ანდრეევის ქუჩა **ბაზრ**ების პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ლიოსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საწნობითაც და ფუთობითაც მყიდველს ნება აქვს შეშაქენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

90—19) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი

ს ტ ა მ ბ ა

მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში

წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კანვერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.

2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კანვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—7)

იყიდება

იაფად ტფილისსა და გორში ხეხილის ხეებიდა ნერგები კ. აფრიკიანის სანერგეს „ტრუდ“-იდან.

მსურველმა უნდა მიჰმართოს: ტფილისში—მაღაზია მელიქ-ბახტამიანცისა და ამხან. პუშკინ. ქ. გორში—კ. აფრიკიანი კატალოგები უფასოდ. (10—87—4)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—1)

(60—6)

Доз. цен. Тифлисъ, 14 Мартъ 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.